**სახელმწიფო**
**შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №338**

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი, 2019 წელი.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში „შემსყიდველი"/„ბსუ") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ალექსანდრე მითაიშვილის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მამუკა ზარანდიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და შესყიდვის განხორციელების მიზნით ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების (სამსახურებრივი ბარათი № MES4 19 01710655 13.12.2019) საფუძველზე ვდებთ წინამ-დებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების (შესყივის) ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - ბსუ-ს კუთვნილი სტამბის ფართისა და მასში განთავსებული ინფრასტრუქტურის (მოწყობილობა-დანადგარების) საწყისი საიჯარო ქირის დადგენის მომსახურება, CPV 79212000.

## 2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 145 (ორმოცდახუთი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალის-წინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ვალუტა - ლარი.

2.4. შესყიდვის ობიეტის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ,,შემსყიდ-ველის" მიერ განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

## 3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებს **ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გურამ გვარიშვილი.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის" და ,,მიმწოდებელის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების მიწოდების ადგილზე.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02 %-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 10 (ათი) %-ის ოდენობით.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

## 8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 10. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2020 წლის 10 თებერვლამდე.

## 12. სხვა პირობები

12.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**„შემსყიდველი“**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35

ს.ნ. 245 428 158
ბ/კ: TRESGE22
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

**ალექსანდრე მითაიშვილი**

**„მიმწოდებელი“**

შ.პ.ს. ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტი”

ქ. თბილისი, მასივი ვარკეთილი ზემო პლატო 2 მკრ კორპ. 9 ბინა №102
ს.ნ. 400 032 674
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგ. № GE63LB 0113 1519 0683 2000

შ.პ.ს. ,,ლაზიკა-აუდიტი”-ს დირექტორი

**მამუკა ზარანდია**

Mamuka Zarandia

Digitally signed by Mamuka Zarandia
DN: cn=Mamuka Zarandia, serialNumber=19001059180, o=Citizen, c=GE
Date: 2019.12.16 20:26:45 +03'00'